



ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი



კვლევის
კომპიტი
რესურსების
ცენტრი

საქართველოს მოსახლეობის ცოდნა და დამოკიდებულება სასამართლო სისტემის მიმართ

მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები

2018

ეს ანგარიში შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით.

მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია "ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი" (EMC), CRRC-საქართველო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და არ ნიშნავს რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი	2
მეთოდოლოგია	3
კვლევის შედეგების მოკლე შეჯამება	4
კვლევის შედეგები	6
ზოგადი დამოკიდებულება საქართველოს სასამართლოების მიმართ	6
ცოდნა სასამართლო სისტემის შესახებ.....	12
დამოკიდებულება საქართველოს მოსამართლეების მიმართ	18
დამოკიდებულება იურისტის პროფესიისადმი.....	26
დანართი A - ცხრილები (სიხშირეები და კროსტაბულაციები)	29
დანართი B - მულტინომინალური ლოგისტიკური რეგრესიის ცხრილები.....	82

შესავალი

„სასამართლო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის (FAIR)“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) პარტნიორ ორგანიზაციებთან, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან“ (IDFI) და „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან“ (CRRC-საქართველო) ერთად ახორციელებს, CRRC-საქართველომ ჩაატარა საბაზისო კვლევა სასამართლო სისტემის მიმართ საქართველოს მოსახლეობის ცოდნისა და დამოკიდებულების შესახებ, რომელიც 2018 წლის 30 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე პერიოდს მოიცავდა.

„სასამართლო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა“ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტია, რომელიც ორი წლის განმავლობაში გაგრძელდება და რომლის მიზანია, მართლმსაჯულების სისტემის რეალური რეფორმირების ხელშეწყობა მონიტორინგის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირების, ინდივიდუალური მოსამართლეების გაძლიერებისა და მათთან დიალოგის ხელშეწყობის გზით.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს სასამართლო სისტემაში, რამდენიმე ტალღად დაიწყო რეფორმების განხორციელება. ცვლილებებს შორის იყო იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წევრთა სტრუქტურული შემადგენლობის ცვლილება, მოსამართლეთა კონფერენციის როლის გაძლიერება, მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის წესისა და სამწლიანი გამოსაცდელი ვადის ამოქმედება, სასამართლო სხდომების გამჭვირვალობის გაზრდა და სხვა. სასამართლო რეფორმის მესამე ტალღით, რომელიც პარლამენტმა 2017 წლის თებერვალში მიიღო, დაწესდა სასამართლოებში საქმეთა შემთხვევითი და ელექტრონული განაწილების წესი, ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი მოსამართლეთა წინააღმდეგ შესული დისციპლინური საჩივრების წინასწარი მოკვლევისთვის. მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნა გაწეული სასამართლო სისტემის გრძელვადიანი სტრატეგიის შესაქმნელად (2017-2021) და მისი განხორციელებისთვის სამოქმედო გეგმის გაწერისთვის.

ამ ცვლილებებისა და სასამართლო სისტემასთან კავშირში განვითარებული სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების გათვალისწინებით, განსაკუთრებით საყურადღებოა როგორია საზოგადოების დამოკიდებულება სასამართლო სისტემის მიმართ, რა ძირითადი მახასიათებლები იკვეთება საქართველოს მოსახლეობის ცოდნასა და დამოკიდებულებებში. 2014 წლის შემდეგ, უშუალოდ მართლმსაჯულების სისტემაზე ფოკუსირებული ფართომასშტაბიანი და წარმომადგენლობითი საზოგადოებრივი აზრის კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა. ამის გათვალისწინებით, პროექტის ფარგლებში გადაწყდა წინამდებარე კვლევის ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს მოსახლეობის წარმომადგენლობით გამოკითხვას საქართველოს მოსახლეობაში სასამართლო სისტემის იმიჯის, მის შესახებ ცოდნისა და დამოკიდებულების შესასწავლის მიზნით.

წინამდებარე ანგარიში 2018 წლის 30 აგვისტოდან 15 სექტემბერამდე ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს აჯამებს. მონაცემები ზოგ შემთხვევაში შედარებულია 2014 წლის CRRC-საქართველოს მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს.¹ იგი მოკლედ მიმოიხილავს კვლევის მეთოდოლოგიას, შემდეგ კი გამოკითხვის შედეგებს სასამართლოებზე მოსახლეობის ზოგადი დამოკიდებულების, სასამართლო სისტემის მიმართ მოსახლეობის ცოდნის, მოსამართლეებისა და იურისტის პროფესიის მიმართ მათი დამოკიდებულებების შესახებ. ანგარიშს თან ერთვის გამოკითხვის შედეგების ცხრილები და ანალიზისას გამოყენებული მულტიინომინალური ლოგისტიკური რეგრესიის შედეგების ცხრილები.

მეთოდოლოგია

საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვა სასამართლო სისტემის მიმართ ცოდნისა და დამოკიდებულების შესახებ 2018 წლის 30 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე პერიოდში ჩატარდა. კვლევა რამდენიმე ეტაპს მოიცავდა. პირველ რიგში, განისაზღვრა საკვლევი თემა და EMC-ისთან და IDFI-ისთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა კითხვარი. შემუშავებული კითხვარი პროექტის ჯგუფმა გაუზიარა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელსაც ჰქონდა შესაძლებლობა, წარმოედგინა კომენტარები და რეკომენდაციები, რომლებიც მოგვიანებით გათვალისწინებულ იქნა კითხვარში.

შემდგომ ეტაპზე გაკეთდა შერჩევა, ჩატარდა საპილოტე ინტერვიუები და ამის შემდეგ დაიწყო სავსე სამუშაოები. შერჩევის დროს გამოყენებული იყო სტრატეგიული კლასტერული დიზაინი. კლასტერები შეირჩა ზომის პროპორციული ალბათობით. შერჩეულ კლასტერებში შინამეურნეობები ე.წ. შემთხვევითი ხეტიალის პრინციპით შეირჩა. შინამეურნეობაში კი შეირჩა თითო რესპონდენტი კომის ცხრილის მიხედვით.²

კვლევამ მოიცვა ქვეყნის სრულწლოვანი, ქართულ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობა, სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის გარდა. მთლიანობაში გამოიკითხა 2,080 ადამიანი პირისპირ ინტერვიუს (CAPI – Computer Assisted Personal Interviewing) მეთოდით. შერჩევა წარმომადგენლობითი იყო საქართველოს მოსახლეობისთვის (ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული პუნქტებისა და ოკუპირებული ტერიტორიების გარდა), ასევე დედაქალაქის, სხვა ქალაქებისა და სოფლების

¹ 2014 წლის გამოკითხვა ჩატარდა მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (JILEP) ფარგლებში, რომელსაც აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ახორციელებდა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო აფინანსებდა. მონაცემთა ბაზების ონლაინ გასაანალიზებლად ეწვიეთ CRRC-ის მონაცემთა ონლაინ ანალიზის გვერდს: <http://caucasusbarometer.org/en/ji2014ge/codebook/>. 2018 წლის გამოკითხვაში რიგ შემთხვევაში კითხვები ისეთივე ფორმულირებით დაისვა, როგორც 2014 წლის გამოკითხვაში იმისთვის, რომ შედარება შესაძლებელი ყოფილიყო. გამოკითხვა ერთი და იგივე მეთოდოლოგიით ჩატარდა.

² რაოდენობრივი კვლევის განხორციელებისას CRRC-საქართველო ხელმძღვანელობს კვლევის გზამკვლევით, რომელიც თანხვედრაშია სოციალური კვლევის საერთაშორისო სტანდარტებთან. კვლევის გზამკვლევი შეგიძლიათ, იხილოთ აქ: <http://crrc.ge/ka/services/research/23/>

მოსახლეობისთვის. გამოკითხვა ჩატარდა ქართულ ენაზე, ცდომილების მაჩვენებელი ქვეყნის დონეზე 2.2%-ს შეადგენს.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები დამუშავდა Stata პროგრამაში: მონაცემთა ბაზა გაიწმინდა და შეიწონა შერჩევის ალბათობისა და დემოგრაფიულ ჯგუფებში რესპონდენტების განაწილების მიხედვით. გამოკითხვის შედეგების გაანალიზებისას გამოყენებული იყო მულტინომინალური ლოგისტიკური რეგრესიები ცვლადებს შორის კორელაციის სტატისტიკური მნიშვნელობის დასადგენად. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები ანგარიშში ასახულია.

კვლევის შედეგების მოკლე შეჯამება

„სასამართლო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) პარტნიორ ორგანიზაციებთან, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან“ (IDFI) და „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან“ (CRRC-საქართველო) ერთად ახორციელებს, CRRC-საქართველომ ჩაატარა საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობის გამოკითხვა სასამართლო სისტემის მიმართ მოსახლეობის ცოდნისა და დამოკიდებულების შესახებ. გამოკითხვა 2018 წლის 30 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე პერიოდში მიმდინარეობდა. ჩატარდა 2,080 დასრულებული ინტერვიუ. გამოკითხვა ეხებოდა მოსახლეობის ცოდნას სასამართლო სისტემისა და სასამართლო რეფორმის შესახებ, ასევე მათ დამოკიდებულებას მოსამართლეებისა და სასამართლოების მიმართ და ქვეყანაში სამართლიანობის აღქმას.

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს მოსახლეობა სასამართლოსთან დაკავშირებულ საკითხებს ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ნაკლებად მიიჩნევს და პირველ რიგში ასეთ საკითხად სიღარიბესა და უმუშევრობას ასახელებს. თუმცა, ქვეყანაში თითქმის ნახევარს აინტერესებს ის, რაც საქართველოს სასამართლოებში ხდება. ინფორმაციის მთავარ წყაროდ ტელევიზია სახელდება. მიუხედავად ამისა, შეინიშნება, რომ საქართველოს მოსახლეობა ნაკლებად ინფორმირებულია სასამართლო სისტემის, მასში მიმდინარე პროცესებისა და რეფორმების შესახებ. ხშირ შემთხვევაში მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის, როგორია უფლებამოსილებების იერარქია ან ის, თუ რა მიზანს ემსახურება სასამართლოში მიმდინარე რეფორმები. მაგალითად, მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა არ იცის ან არასწორად იცის, თუ ვინ ნიშნავს მოსამართლეებს, ვის შეუძლია ან არ შეუძლია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დათხოვნა, რა შედეგს მოიტანს საქმეთა განაწილების ახალი ელექტრონული სისტემა და დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის შემოღება. თუმცა, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს მაცხოვრებლების უმრავლესობა ინფორმირებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსებობის შესახებ.

საქართველოს მოსახლეობის მესამედზე მეტის აზრით, საქართველოში მოსამართლეები სამართლიანები და პროფესიონალები არიან. ამავდროულად, საქართველოში

მაცხოვრებლების უმრავლესობა საშუალოდ აფასებს საქართველოს სასამართლო სისტემის მუშაობას და თითქმის ნახევარი ეთანხმება აზრს, რომ საქართველოში ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სასამართლოს არ აიგივებს საქმის გართულებასთან და არ ეთანხმება აზრს, რომ „პრობლემის სასამართლომდე მიტანა მხოლოდ გაართულებს საქმეს“.

კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება სასამართლოსთან დაკავშირებულ რიგ საკითხებზე. მოსახლეობის თითქმის ნახევარს მიაჩნია, რომ მოსამართლეები საქართველოში დამოუკიდებლები არ არიან. ამასთანავე, თითქმის ნახევარი ეთანხმება აზრს, რომ დღეს მოსამართლეები ამჟამინდელი ხელისუფლების ინტერესებს ემსახურებიან. ასევე, დაბალია მოსამართლეებისა და სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიმართ ნდობის მაჩვენებელი. სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას შორის, ნდობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სასამართლოს, პროკურატურისა და პარლამენტის მიმართ დაფიქსირდა.

საყურადღებოა, რომ მოსახლეობისთვის მართლმსაჯულება უარყოფით ასოციაციას იწვევს და ფრაზაზე „მართლმსაჯულება საქართველოში“ ყველაზე ხშირად „უსამართლობა“ ახსენდებათ. ამასთანავე, მოსახლეობის მესამედზე მეტი უნდობლობას უცხადებს მოსამართლეებსა და სასამართლო ინსტანციებს და მიიჩნევს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში სასამართლო სისტემა არ შეცვლილა.


კვლევის შედეგების მიხედვით, ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის 14%-ს ჰქონია გარკვეული შეხება სასამართლოსთან. ესაა რესპონდენტების ის ნაწილი, ვინც ინტერვიუერს, უცხო ადამიანს, უთხრა ამის შესახებ და შესაძლოა, რეალური მონაცემისგან განსხვავებული იყოს. უმეტესად სასამართლოსთან შეხება უძრავ ქონებას უკავშირდებოდა. ეს მაჩვენებელი საკმაოდ მცირეა და არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დადგინდეს სასამართლოში გამოცდილების ქონის რაიმე გავლენის სტატისტიკური მნიშვნელობა მოსახლეობის დამოკიდებულებაზე სასამართლო სისტემის მიმართ.

კვლევის შედეგები

ზოგადი დამოკიდებულება საქართველოს სასამართლოების მიმართ

საქართველოს მოსახლეობა ქვეყნისთვის ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებად - უმუშევრობას (75%), სიღარიბესა (45%) და ფასების ზრდას (30%) ასახელებს. სასამართლოს დამოუკიდებლობა ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად საქართველოს სრულწლოვანი ქართულენოვანი მოსახლეობის მხოლოდ 5%-მა დაასახელა (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1




შენიშვნა: ამ კითხვაზე რესპონდენტებს მაქსიმუმ სამი პასუხის დასახელება შეეძლოთ. შესაბამისად, პასუხების პროცენტული მაჩვენებლები 100%-ად არ ჯამდება.

საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი (47%) მიიჩნევს, რომ „საქართველოში ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე“, 33% კი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას (იხ. დანართი A, ცხრილი 1.23_1 და ცხრილი 1.22_1). თუმცა, კითხვაზე, რა გახსენდებათ პირველ რიგში, როდესაც გესმით ფრაზა „მართლმსაჯულება საქართველოში“, მოსახლეობას ყველაზე ხშირად (38%) „უსამართლობა“ ახსენდება (იხ. დანართი A, ცხრილი 1.5). საინტერესოა, რომ იგივე ფრაზაზე 2014 წელს მოსახლეობას ყველაზე ხშირად სამართლიანობა/სიმართლე ახსენებოდა (18%) (იხ. დანართი A, ცხრილი 3.1).

აღსანიშნავია, რომ მათ შემთხვევაში, ვისაც სასამართლოსთან რაიმე შეხება ჰქონია,³ (პოპულაციის 14%), 45%-ისთვის ფრაზა „მართლმსაჯულება საქართველოში“ ასევე უსამართლობასთან ასოცირდება (იხ. დანართი A, ცხრილი 2.1).

დიაგრამა 2



შენიშვნა: რესპონდენტები პასუხის ვარიანტს ირჩევდნენ ბარათიდან.


საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი (46%) აცხადებს, რომ აინტერესებს ის, რაც საქართველოს სასამართლოებში ხდება (იხ. დანართი A, ცხრილი 1.4_1). ეს მაჩვენებელი დიდად არ განსხვავდება 2014 წლის მონაცემისგან, რომლის მიხედვითაც 43%-მა აღნიშნა, რომ დაინტერესებული იყო იმით, თუ რა ხდებოდა სასამართლოებში (იხ. დანართი A, ცხრილი 3.2). ინფორმაციას სასამართლოების შესახებ მოსახლეობის უმრავლესობა (63%) ტელევიზიით იღებს, 14%-ისთვის კი სასამართლოების შესახებ ინფორმაციის წყაროს სოციალური ქსელები წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ სასამართლოების შესახებ ინფორმაციას სოციალური ქსელების საშუალებით ძირითადად 18-დან 36 წლამდე ადამიანები იღებენ (63%) (იხ. დანართი A, ცხრილი 2.2). აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სრულწლოვანი ქართულენოვანი მოსახლეობის 7% სასამართლოების შესახებ ინფორმაციას საერთოდ არ იღებს (იხ. დიაგრამა 2).

³ იგულისხმება რესპონდენტი, მისი ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი და/ან ახლო მეგობარი, ვისაც სასამართლოსთან შეხება ჰქონია.

გამოკითხვის დროს რესპონდენტებს სთხოვდნენ, შეეფასებინათ ნდობა რამდენიმე დაწესებულებისა და პროფესიული ჯგუფის მიმართ. ზოგადად, მოსახლეობამ ნდობა გამოხატა ადვოკატების, სახალხო დამცველისა და პოლიციის მიმართ.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის დიდი წილი (41%) მოსამართლეებს არ ენდობა, 36%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს მათ მიმართ. მოსამართლეებს ნდობას 19% უცხადებს (იხ. დიაგრამა 3). ეს მაჩვენებელი მცირედით განსხვავდება დასახლების ტიპის მიხედვით. სოფლად მცხოვრებნი უფრო მეტად ენდობიან მოსამართლეებს, ვიდრე დედაქალაქის ან სხვა ქალაქების მოსახლეობა (იხ. დანართი A, ცხრილი 2.3). ვინც ამბობს, რომ მოსამართლეებს არ ენდობა, მათი ძირითადი ნაწილი (62%) ასევე მიიჩნევს, რომ დღეს მოსამართლეები საქართველოში ამჟამინდელი ხელისუფლების ინტერესებს ემსახურებიან (იხ. დანართი A, ცხრილი 2.4). საგულისხმოა, რომ 2014 წელთან შედარებით მოსამართლეების მიმართ ნდობამ იკლო, 2014 წელს მოსახლეობის დიდი წილი (36%) ნდობას უცხადებდა მოსამართლეებს (იხ. დიაგრამა 3).


დიაგრამა 3



შენიშვნა: პასუხის ვარიანტები 10-ქულიანი სკალიდან დაჯგუფდა 5-ქულიან სკალაზე. ზოგ შემთხვევაში პროცენტები 100-ად არ ჯამდება მეათედებისა და დამრგვალების გამო.

რაც შეეხება სასამართლოების მიმართ ნდობა-არ ნდობის საკითხს, სასამართლოს სამივე ინსტანციის მიმართ მოსახლეობა მსგავს დამოკიდებულებას გამოხატავს და ძირითადად არ ენდობა სასამართლო ინსტანციებს, უფრო დეტალურად: საქალაქო/რაიონულ სასამართლოებს მოსახლეობის 37% არ ენდობა, 33%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს, ხოლო 19% ამბობს, რომ ენდობა მას; სააპელაციო სასამართლოს მიმართ უნდობლობას მაცხოვრებლების 35% გამოხატავს, ნეიტრალურ დამოკიდებულებას - 32%, ხოლო 22% ნდობას უცხადებს სააპელაციო სასამართლოს; მოსახლეობის 37% არ ენდობა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, 32% ნეიტრალურადაა განწყობილი, ხოლო 24% ენდობა მას. მათგან, ვინც სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს ნდობას უცხადებს, უმრავლესობა სასამართლო სისტემის მუშაობას საშუალოდ აფასებს, ხოლო მათგან, ვინც აცხადებს, რომ არ ენდობა სასამართლო ინსტანციებს, უმრავლესობა სასამართლო სისტემის მუშაობას ცუდად აფასებს (იხ. დანართი A, ცხრილი 2.5; ცხრილი 2.6 და ცხრილი 2.7)⁴

დიაგრამა 4



შენიშვნა: პასუხის ვარიანტები 10-ქულიანი სკალიდან დაჯგუფდა 5-ქულიან სკალაზე. ზოგ შემთხვევაში პროცენტები 100-ად არ ჯამდება მეათედებისა და დამრგვალების გამო.


⁴ „საერთოდ არ ვენდობი“ და მისი მომიჯნავე სკალის ქულა დაჯგუფებულია და ისეა აღწერილი ტექსტში.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს ძირითადად არ ენდობა, მათი უმრავლესობა (56%) საშუალოდ აფასებს საქართველოს სასამართლო სისტემის მუშაობას (იხ. დანართი A, ცხრილი 1.7). ამასთანავე, მოსახლეობის მესამედზე მეტი (38%) არ ეთანხმება აზრს, რომ „პრობლემის სასამართლომდე მიტანა მხოლოდ გართულებს საქმეს“.

რაც შეეხება სასამართლო სისტემის მდგომარეობის შეფასებას, საქართველოს მოსახლეობის 42% ფიქრობს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში სასამართლო სისტემა არ შეცვლილა. 21% მიიჩნევს, რომ იგი გაუმჯობესდა, ხოლო 29%-ის აზრით, სასამართლო სისტემა გაუარესდა (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5


თქვენი აზრით, ბოლო 5 წლის განმავლობაში, სასამართლო სისტემა საქართველოში გაუმჯობესდა, იგივე დარჩა თუ გაუარესდა? (%)



ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ სასამართლო სისტემა გაუმჯობესდა ან გაუარესდა, ასახელებენ საკითხებს, რაშიც ამ ცვლილებას ხედავენ. საინტერესოა, რომ ორივე შემთხვევაში ცვლილების მთავარი შედეგი სამართლიანობას უკავშირდება. მათი უმრავლესობა, ვინც ბოლო 5 წელიწადში სასამართლო სისტემაში გაუმჯობესებას ხედავს (51%), ამბობს, რომ სასამართლო სისტემა სამართლიანია. ხოლო, ვინც ფიქრობს, რომ სასამართლო სისტემა გაუარესდა, მათი უმრავლესობა (53%) აღნიშნავს, რომ სასამართლო სისტემა უსამართლოა (იხ. დიაგრამა 6).

დიაგრამა 6

გთხოვთ, მითხრათ, რაში ხედავთ გაუმჯობესებას/გაუარესებას? (%)




შენიშვნა: რესპონდენტებს მაქსიმუმ სამი პასუხის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხების პროცენტული მაჩვენებლები 100%-ად არ ჯამდება. კითხვა რესპონდენტებისთვის ღია იყო. მათ პასუხის ვარიანტებს არ უკითხავდნენ და არც აჩვენებდნენ.

მოსახლეობის იმ ნაწილიდან, რომელიც ფიქრობს, რომ სასამართლო სისტემა საქართველოში გაუმჯობესდა ან გაუარესდა, 40% აცხადებს, რომ არ იცის, ვის როლს გამოყოფდა სასამართლო სისტემის გაუმჯობესებასა თუ გაუარესებაში, ხოლო 18% მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით პირველ რიგში იუსტიციის სამინისტროს/მინისტრის როლს გამოყოფს (იხ. დიაგრამა 7). ცალ-ცალკე თუ შევხედავთ მოსახლეობის ჯგუფებს, რომლებიც ხედავენ რაიმე ცვლილებას სასამართლოში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ის ჯგუფი, რომელიც ფიქრობს, რომ სასამართლო სისტემა

გაუარესდა, უფრო ხშირად აცხადებს, რომ არ იცის, რომელი უწყების როლს გამოყოფდა სასამართლო სისტემის გაუარესებაში, ვიდრე ისინი, ვინც ფიქრობს, რომ სასამართლო სისტემა გაუმჯობესდა (იხ. დანართი A, ცხრილი 2.8).

დიაგრამა 7

პირველ რიგში რომელი უწყების როლს გამოყოფდით 2012 წლის შემდეგ სასამართლო სისტემაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით? (%)



ცოდნა სასამართლო სისტემის შესახებ

სასამართლო სისტემის მიმართ ზოგადი დამოკიდებულებების გამოვლენის გარდა, გამოკითხვა საშუალებას გვაძლევს, გარკვეულწილად შევაფასოთ მოსახლეობის ცოდნა სასამართლო სისტემისა და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ. საერთო ჯამში, საქართველოს მოსახლეობის ძირითად ნაწილს არ აქვს ინფორმაცია/ცოდნა სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესების შესახებ.


კითხვაზე, თუ ვინ ნიშნავს საქალაქო/რაიონული სასამართლოების მოსამართლეებს, საქართველოს მაცხოვრებლების თითქმის ნახევარს (47%) არ აქვს ინფორმაცია ამასთან

დაკავშირებით. სწორი პასუხი (იუსტიციის უმაღლესი საბჭო⁵) მოსახლეობის მხოლოდ 11%-მა დაასახელა. აღსანიშნავია, რომ მათგან უმრავლესობას უმაღლესი განათლება აქვს მიღებული (იხ. დანართი A, ცხრილი 2.9). დანარჩენი პასუხების ვარიანტები კი შემდეგნაირად გადანაწილდა:

- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე - 13%,
- იუსტიციის მინისტრი - 11%,
- პრეზიდენტი - 6%,
- პარლამენტი - 5%,
- პრემიერ-მინისტრი - 4%,
- სხვა - 3% (იხ. დანართი A, ცხრილი 1.11).

მოსახლეობის აზრით, საქალაქო/რაიონული სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნისას, ძირითადად მოსამართლის მიერ კანონმდებლობის ცოდნას (60%), შესაბამის გამოცდილებას (54%), პატიოსნებას (44%) და პოლიტიკურ წრებთან სასარგებლო კავშირებს (20%) ითვალისწინებენ (იხ. დიაგრამა 8). ეს მაჩვენებელი გარკვეულწილად მოსახლეობის დამოკიდებულებასაც გამოხატავს მოსამართლეთა დანიშვნის კრიტერიუმების მიმართ. უმრავლესობა დადებით მახასიათებლებს (კანონმდებლობის ცოდნას, გამოცდილებას და პატიოსნებას) ასახელებს.

დიაგრამა 8




⁵ „სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეს თანამდებობაზე 10 წლის ვადით ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.“ - [საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ](#)

შენიშვნა: რესპონდენტებს შეეძლოთ მიწოდებული ბარათიდან მაქსიმუმ სამი პასუხის დასახელება. შესაბამისად, პასუხების პროცენტული მაჩვენებლები არ ჯამდება 100%-ად.

რაც შეეხება უზენაეს სასამართლოს, საქართველოს მოსახლეობის თითქმის მესამედი (34%) ამბობს, რომ არ იცის, თუ ვინ ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს (იხ. დიაგრამა 9). მოსახლეობა ყველაზე ხშირად (28%) ამბობს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს პრეზიდენტი ნიშნავს, ხოლო 15% სწორად პასუხობს ამ კითხვას და აცხადებს, რომ ეს ფუნქცია პარლამენტს ეკუთვნის.⁶ მოსახლეობის მესამედზე მეტი (39%) თვლის, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დათხოვა პრემიერ-მინისტრს არ შეუძლია, რაც რეალობას შეესაბამება. 34% ამბობს, რომ არ იცის ამ კითხვაზე პასუხი, 27%-ის აზრით კი პრემიერ-მინისტრს აქვს უფლება, დაითხოვოს უზენაესი სასამართლო. აღსანიშნავია, რომ იმ ოთხი კითხვიდან, რაც სასამართლო სისტემის შესახებ ცოდნას ეხებოდა, ყველას სწორად მხოლოდ საქართველოს სრულწლოვანი ქართულენოვანი მოსახლეობის 1%-მა გასცა სწორი პასუხი.

დიაგრამა 9

კანონის თანახმად, ვინ ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს? (%)



შენიშვნა: რესპონდენტებისთვის კითხვა იყო ღია, მათ პასუხის ვარიანტებს არც უკითხავდნენ და არც აჩვენებდნენ.

სასამართლო რეფორმის ბოლო ტალღის ორ მნიშვნელოვან ცვლილებაზე მოსახლეობის დიდ ნაწილს ინფორმაცია არ აქვს. მოსახლეობის უმრავლესობას (86%) არაფერი სმენია სასამართლოში საქმეთა განაწილების ახალი ელექტრონული სისტემის შესახებ, მხოლოდ 14%-ს სმენია ამ სისტემის შესახებ (იხ. დანართი A, ცხრილი 1.17). მათგან, ვისაც სასამართლოსთან შეხება ჰქონია, 20% აცხადებს, რომ სმენია საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის შესახებ მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი იკლებს 13%-მდე, როცა

⁶ „უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 10 წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი“ - [საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ](#)

საქმე ეხება მხოლოდ იმ ადამიანებს, ვისაც სასამართლოსთან შეხება არ ჰქონია (იხ. დანართი A, ცხრილი 2.10). ვინც ამბობს, რომ სმენია საქმეთა ელექტრონული განაწილების შესახებ, მათი დიდი ნაწილი (39%) ფიქრობს, რომ ამ სისტემის დანერგვა საქმეების ობიექტურ და მიუკერძოებელ განაწილებას ემსახურება (იხ. დანართი A, ცხრილი 1.18).

მოსახლეობის დიდ უმრავლესობას (87%) ასევე არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სასამართლო სისტემაში დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური შეიქმნა. ხოლო მათგან, ვისაც სმენია ამის შესახებ (13%), თითქმის ნახევარი (49%) აცხადებს, რომ არ იცის, რა არის დამოუკიდებელი ინსპექტორის მთავარი ფუნქცია და მეოთხედზე ნაკლები ასახელებს მის რეალურ ფუნქციას - მოსამართლეთა წინააღმდეგ შემოსული დისციპლინური საჩივრების წინასწარ შესწავლას (იხ. დანართი A, ცხრილი 1.19 და ცხრილი 1.20).

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ საქართველოს მაცხოვრებლების უმრავლესობა (61%) ამბობს, რომ სმენია ამ ინსტიტუტის შესახებ და მათი ძირითადი ნაწილი (72%) სწორად პასუხობს, რომ დებულება - *იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტია* - სიმართლეს არ შეესაბამება. საყურადღებოა, რომ 2014 წელთან შედარებით შემცირდა იმ რესპონდენტთა წილი, ვინც არასწორად პასუხობდა, რომ პრეზიდენტი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. მაგალითად, 2014 წელს მოსახლეობის 59% სწორად პასუხობდა ამ კითხვას, 2018-ში მოსახლეობის ეს წილი 72%-ს აღწევს (იხ. დანართი A, ცხრილი 3.3). ვისაც სმენია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, მათი თითქმის ნახევარი (46%) ფიქრობს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომები ღია უნდა იყოს მედიისთვის, ასევე დიდი ნაწილი (52%) მიიჩნევს, რომ სხდომა ღია უნდა იყოს ნებისმიერი მსურველისთვის (იხ. დანართი A, ცხრილი 1.8, ცხრილი 1.15 და ცხრილი 1.16).

რესპონდენტებს მიაწოდეს ინფორმაცია სასამართლო სისტემის რეფორმის რამდენიმე ასპექტზე, მათ შორის, საქალაქო/რაიონული სასამართლოების მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნაზე, რომ უვადოდ დანიშვნის მიზანი მოსამართლის დამოუკიდებლობის მყარი გარანტიების შექმნაა და შემდეგ სთხოვეს, შეეფასებინათ რეფორმასთან დაკავშირებული რამდენიმე დებულება (იხ. დიაგრამა 10). შეთავაზებული დებულებებიდან სამი რეფორმის მიზნიდან გამომდინარე დადებითი იყო და სამი - უარყოფითი. პასუხებიდან გამოჩნდა, რომ მოსახლეობა რეფორმის ამ ნაწილის შესახებ უარყოფითი დებულებებისკენ უფრო იხრება, ვიდრე დადებითისკენ.

საქართველოს მაცხოვრებლების უმრავლესობა (72%) მიიჩნევს, რომ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის შედეგად ახალ კანდიდატებს ნაკლები შანსი ექნებათ, გახდნენ მოსამართლეები. ასევე, უმრავლესობა (56%) ეთანხმება აზრს, რომ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის შედეგად მიკერძოებული მოსამართლეები საპენსიო ასაკამდე იმუშავებენ სასამართლოში. მოსახლეობის თითქმის მესამედზე მეტი (34%) ეთანხმება აზრს, რომ მოსამართლეები, რომლებიც უვადოდ არიან დანიშნულები, კორუმპირებულები იქნებიან.

საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობა ყველაზე ხშირად არ ეთანხმება მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნასთან დაკავშირებულ შემდეგ დებულებებს: მოსამართლეები, რომლებიც უვადოდ არიან დანიშნულები, უფრო დამოუკიდებლები იქნებიან (57%), მოსამართლეებს აღარ შეეშინდებათ თანამდებობის დაკარგვის, ამიტომ მათზე ზეწოლის განხორციელება ნაკლებად შესაძლებელი იქნება (41%); მოსამართლეები, რომლებიც უვადოდ არიან დანიშნულები, უფრო ხარისხიანად იმუშავენ (56%). ეს მონაცემები სასამართლოს მიმართ მოსახლეობის უნდობლობაზე მიუთითებს.

დიაგრამა 10

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ ...? (%)

■ საერთოდ არ ვეთანხმები ■ 2 ■ 3 ■ 4 ■ სრულად ვეთანხმები ■ არ ვიცი



შენიშვნა: პასუხის ვარიანტები 10-ქულიანი სკალიდან დაჯგუფდა 5-ქულიანი სკალაზე.


გამოკითხვის მიმდინარეობისას რესპონდენტებს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ დღეს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრება, მათი პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დახურულ სხდომაზე ტარდება. თუმცა,

გასაუბრებას შეიძლება, დაესწრონ გარეშე პირები, თუკი კანდიდატი ამის შესახებ თანხმობას გამოხატავს. მოსახლეობის უმრავლესობას (74%) მიაჩნია, რომ მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრება ღია სხდომაზე უნდა ტარდებოდეს.

რესპონდენტებს ასევე სთხოვეს, შეეფასებინათ, საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შედეგები (იხ. დიაგრამა 11). ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში 2010 წლიდან დამკვიდრდა. მოსახლეობის აზრი თითქმის თანაბრად გაიყო მათ შორის, ვინც ფიქრობს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ხელს უწყობს უფრო სამართლიანი განაჩენების გამოტანას (37%) და ვისაც მიაჩნია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებით არაფერი იცვლება (35%). მაცხოვრებლების 8%-ს კი დღემდე არ აქვს ინფორმაცია საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ.

დიაგრამა 11

2010წლიდან საქართველოში შემოიღეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. თქვენი აზრით, რა შედეგი აქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას საქართველოში? (%)



შენიშვნა: რესპონდენტებს შეეძლოთ პასუხის ვარიანტის არჩევა ბარათიდან. პასუხის ვარიანტი: „არაფერი მსმენია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ“, „არ ვიცი“, „უარი პასუხზე“ ბარათზე ნაჩვენები არ იყო.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც 18-35 წლის ასაკობრივ ჯგუფში ექცევა, დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, უფრო პოზიტიურად აღიქვამს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას და ფიქრობს, რომ ის ხელს უწყობს უფრო

სამართლიანი განაჩენების გამოტანას. ამავდროულად, ისინი, ვინც 56 წლის ან მეტი ასაკის არიან, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, უფრო ხშირად მიიჩნევენ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედეგის მომტანი არ იქნება და არაფერს შეცვლის⁷ (იხ. დანართი B, ცხრილი 1.1).


დამოკიდებულება საქართველოს მოსამართლეების მიმართ

რესპონდენტების დამოკიდებულების შესასწავლად კითხვები არამხოლოდ ზოგადად სასამართლოებსა და სამართლიანობის აღქმას შეეხებოდა, არამედ კონკრეტულად მოსამართლეებს. როგორც აღმოჩნდა, საქართველოს მოსახლეობის მესამედზე მეტი ფიქრობს, რომ საქართველოში მოსამართლეები სამართლიანები და პროფესიონალები არიან. თუმცა, ამავდროულად მოსახლეობის თითქმის ნახევარს მიაჩნია, რომ მოსამართლეები დამოუკიდებლები არ არიან (იხ. დიაგრამა 12). შეინიშნება განსხვავება სოფლად მაცხოვრებლებისა და დედაქალაქის ან სხვა ქალაქების მაცხოვრებლების მოსაზრებებს შორის მოსამართლეების პროფესიონალიზმზე, სამართლიანობასა და დამოუკიდებლობაზე. სოფელში მცხოვრებნი უფრო ხშირად აფიქსირებენ დადებით შეფასებას მოსამართლეების მიმართ, ვიდრე დედაქალაქის ან სხვა ქალაქების მაცხოვრებლები. (იხ. დანართი A, ცხრილი 2.11) CRRC-საქართველოს მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში, წლების განმავლობაში, მსგავსი ტენდენცია იკვეთება. სოფლად მცხოვრები მოსახლეობა უფრო მეტ ნდობას გამოხატავს სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, უფრო დადებითად აფასებს მათ მუშაობას და უფრო მეტი ოპტიმიზმით გამოირჩევა სხვადასხვა სოციალურ და პოლიტიკურ საკითხზე საუბრისას.

დიაგრამა 12

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ...? (%)

■ საერთოდ არ ვეთანხმები ■ 2 ■ 3 ■ 4 ■ სრულად ვეთანხმები ■ არ ვიცი



⁷ ასაკობრივი ჯგუფებთან ამ ცვლადის კროსტაბულაციის მნიშვნელობის შესამოწმებლად გამოყენებული იყო მულტინომინალური რეგრესიული ანალიზი.

შენიშვნა: პასუხის ვარიანტები 10-ქულიანი სკალიდან დაჯგუფდა 5-ქულიან სკალაზე.

კითხვაზე, თუ რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ, ზოგადად, მოსამართლეები საქართველოში პროფესიონალები არიან, მოსახლეობის მესამედზე მეტი (37%) ეთანხმება ამ აზრს, 34% ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს ამ საკითხისადმი, ხოლო 22% არ ეთანხმება აზრს, რომ მოსამართლეები საქართველოში პროფესიონალები არიან (იხ. დანართი A, ცხრილი 1.24_1).

რაც შეეხება კითხვას, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ, ძირითადად, მოსამართლეები საქართველოში სამართლიანები არიან, საქართველოს მოსახლეობის 39% ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს ამ საკითხისადმი, 33% არ ეთანხმება გამოთქმულ აზრს, ხოლო 22% მიიჩნევს, რომ ძირითადად, მოსამართლეები საქართველოში სამართლიანები არიან (იხ. დანართი A, ცხრილი 1.25_1). 2014 წლის გამოკითხვაში მოსახლეობის უფრო დიდი წილი ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ მოსამართლეები საქართველოში სამართლიანები არიან (37%) (იხ. დანართი A, ცხრილი 3.4).

კითხვაზე, თუ რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ, ძირითადად, მოსამართლეები საქართველოში დამოუკიდებლები არიან, მოსახლეობის თითქმის ნახევარი (46%) არ ეთანხმება ამ აზრს, 28% ნეიტრალურ პასუხს ირჩევდა მოსახლეობის მხოლოდ 19% ეთანხმება აზრს, რომ ძირითადად, მოსამართლეები საქართველოში დამოუკიდებლები არიან (იხ. დანართი A, ცხრილი 1.26_1). საგულისხმოა, რომ 2014 წელს მოსახლეობა უფრო ხშირად ეთანხმებოდა აზრს, რომ მოსამართლეები დამოუკიდებლები არიან (34%) (იხ. დანართი A, ცხრილი 3.5).

ვინც არ ეთანხმება აზრს, რომ საქართველოში მოსამართლეები ძირითადად დამოუკიდებლები არიან (46%), მათი დიდი ნაწილი - 41% ყველაზე ხშირად მიიჩნევს, რომ მოსამართლეები მთავრობაზე/მმართველ პარტიაზე არიან დამოკიდებულები. 18% აცხადებს, რომ არ იცის, თუ ვისზე არიან მოსამართლეები დამოკიდებული (იხ. დანართი A, ცხრილი 1.27).

საერთო ჯამში, ვინც ენდობა მოსამართლეებს (19%), მათი უმრავლესობა ასევე მიიჩნევს, რომ მოსამართლეები პროფესიონალები და სამართლიანები არიან. ხოლო მათგან თითქმის ნახევარი ფიქრობს, რომ მოსამართლეები დამოუკიდებლები არიან (იხ. დანართი A, ცხრილი 2.12)


საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი (48%) ეთანხმება, რომ დღეს მოსამართლეები ამჟამინდელი ხელისუფლების ინტერესებს ემსახურებიან, დაახლოებით მესამედი (29%) ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს, ხოლო 11% არ ეთანხმება ამ აზრს. საგულისხმოა, რომ 2014 წელთან შედარებით მოსახლეობის უფრო დიდი წილი ეთანხმება აზრს, რომ მოსამართლეები ამჟამინდელი ხელისუფლების ინტერესებს ემსახურებიან (იხ. დიაგრამა 13).

საინტერესოა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა (59%) ფიქრობს, რომ 2012 წლამდე მოსამართლეები მაშინდელი ხელისუფლების ინტერესებს ემსახურებოდნენ (იხ.

დიაგრამა 13), 2014 წელს მოსახლეობის კიდევ უფრო ნაკლები წილი 32% ეთანხმებოდა ამ მოსაზრებას. (იხ. დანართი A, ცხრილი 3.6).

დიაგრამა 13

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ დღეს მოსამართლეები საქართველოში ამჟამინდელი ხელისუფლების ინტერესებს ემსახურებიან (%)



შენიშვნა: პასუხის ვარიანტები 10-ქულიანი სკალიდან დაჯგუფდა 5-ქულიანი სკალაზე.

რესპონდენტებს ასევე ჰკითხეს, თუ რამდენად ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან აზრს, რომ მოსამართლეები საქართველოში ქრთამს იღებენ. მოსახლეობის თითქმის მესამედი (32%) პასუხობს, რომ ამ კითხვაზე პასუხი არ იცის, ხოლო 16% ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს, ხოლო 23% ეთანხმება ამ მოსაზრებას. 2014 წელთან შედარებით, დღეს უფრო მეტი ადამიანი მიიჩნევს, რომ მოსამართლეები საქართველოში ქრთამს იღებენ (იხ. დანართი A, ცხრილი 3.7).

აბსტრაქტულ მოსაზრებასთან ერთად, რესპონდენტებს ასევე ჰკითხეს, სმენიათ თუ არა მოსამართლის მიერ ქრთამის აღების კონკრეტული ფაქტის შესახებ ბოლო 5 წლის განმავლობაში, მაცხოვრებლების უმრავლესობას (84%) მსგავსი ფაქტის შესახებ არ სმენია. თუმცა, მოსახლეობის 13% აცხადებს, რომ ასეთი რამ გაგონილი აქვს (იხ. დანართი A, ცხრილი 1.28_1 და ცხრილი 1.29). გამოკითხვა ასეთ შემთხვევებში დამატებით კითხვებს აღარ ითვალისწინებდა.

საქართველოს მოსახლეობის მესამედზე მეტი (37%) მიიჩნევს, რომ უდანაშაულო ადამიანი ხშირად ისჯება მოსამართლის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად. ხოლო სიტუაციაზე, როცა დამნაშავე მოსამართლის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად

შესაძლოა, დაუსჯელი დარჩეს, შედარებით ნაკლები წილი (32%) მიჩნევს, რომ მსგავსი შემთხვევები ხშირია (იხ. დანართი A, ცხრილი 1.31_1 და ცხრილი 1.30_1). ეს ორი მაჩვენებელი 2014 წლის გამოკითხვის შედეგებთან შედარებით გაზრდილია (იხ. დანართი A, ცხრილები 3.8 და 3.9).

სასამართლოს მხრიდან სხვადასხვა ჯგუფების მიმართ თანასწორი თუ განსხვავებული დამოკიდებულების შესახებ მოსახლეობის წარმოდგენების გასაგებად გამოკითხვის დროს, რესპონდენტებს ჰკითხეს არარეალური, ჰიპოთეტური სასამართლო საქმეების შესახებ. შედეგები გვიჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის წარმოდგენით, სასამართლო ყველაზე უფრო არათანაბრად მოეპყრობა მოქალაქეებს, რომლებიც განსხვავებული სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან და მათ, ვისაც პოლიტიკურ წრეებში ახლობელი არ ჰყავთ.

მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (63%) მიიჩნევს, რომ როდესაც მდიდარსა და ღარიბს ბრალი ედებათ ერთნაირ დანაშაულში, რომელიც მათ არ ჩაუდენიათ (საუბარია ორ სხვადასხვა საქმეზე), უფრო მოსალოდნელია, რომ სასამართლო ღარიბს მიიჩნევს დამნაშავედ (იხ. დანართი A, ცხრილი 1.38). საინტერესოა, რომ 2014 წელს მოსახლეობის უფრო ნაკლები წილი (43%) ფიქრობდა, რომ სასამართლო ღარიბს მიიჩნევდა დამნაშავედ (იხ. დანართი A, ცხრილი 3.10).⁸

კვლევის მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვნახოთ იმ ადამიანების დამოკიდებულება ამ სასამართლო შემთხვევის მიმართ, რომლებიც ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ „საქართველოში ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე“. მულტინომინალური ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმება, უფრო მეტად მოელის, რომ მოცემული სასამართლო საქმის შეთხვევაში უფრო მოსალოდნელია, რომ ღარიბი ადამიანი იქნება მიჩნეული დამნაშავედ. ხოლო ნაწილი, რომელიც ეთანხმება მოსაზრებას, რომ „საქართველოში ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე“, უფრო მეტად მოელის, რომ სასამართლო მდიდარსაც და ღარიბსაც ერთნაირად განსჯის. (იხ. დანართი B, ცხრილი 1.2).

ასევე, მოსახლეობის თითქმის იგივე წილი (65%) ფიქრობს, რომ ერთნაირ დანაშაულში, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ბრალდებული ორი ადამიანიდან, რომელთაგან ერთ-ერთს ჰყავს ახლობელი პოლიტიკურ წრეებში, ხოლო მეორეს - არა, დამნაშავედ სწორედ ის ადამიანი იქნება მიჩნეული, რომელსაც პოლიტიკურ წრეებში ახლობელი არ ჰყავს (იხ. დანართი A, ცხრილი 1.42). ამ შემთხვევაში, მულტინომინალური ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ „საქართველოში ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე“, ფიქრობს, რომ პოლიტიკურ წრეებში ახლობლების არმყოფი ადამიანი უფრო დიდი ალბათობით იქნება მიჩნეული დამნაშავედ. იგივე აზრს იზიარებს მოსახლეობის ის

⁸ ამ საკითხზე, 2014 და 2011 წლის გამოკითხვებზე დაყრდნობით მომზადებული ბლოგი იხილეთ აქ: <http://crrc.ge/ka/blog/perceived-inequality-in-the-courts-in-georgia---the-poor-in-trouble/51/>

ნაწილიც, რომელიც ეთანხმება მოსაზრებას, რომ მოსამართლეები ამჟამინდელი ხელისუფლების ინტერესებს ემსახურებიან. (იხ. დანართი B, ცხრილი 1.3).

მოსახლეობა შედარებით მიუკერძოებლად მიიჩნევს სასამართლოს და ფიქრობს, რომ ის თანაბრად მოეპყრობა მოქალაქეებს იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალი ედებათ განსხვავებული რელიგიის წარმომადგენლებს - მოსახლეობის 61% მიიჩნევს, რომ ერთნაირ დანაშაულში ბრალდების შემთხვევაში, მართმადიდებელსაც და სხვა რელიგიის წარმომადგენელსაც თანაბარი შანსი აქვთ როგორც გამართლების, ასევე დამნაშავედ ცნობის (იხ. დანართი A, ცხრილი 1.40). 2014 წელსაც მოსახლეობის უმრავლესობა (73%) მიიჩნევდა, რომ ასეთ სიტუაციაში ორივე რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელს გამართლებისა და დამნაშავედ ცნობის თანაბარი შანსები ექნებოდათ (იხ. დანართი A, ცხრილი 3.11).

მოსახლეობის თითქმის ნახევარი - 48% ფიქრობს, რომ როდესაც ერთნაირ დანაშაულში ბრალი ედებათ ტრადიციული სექსუალური ორიენტაციისა და სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელს, მათ თანაბარი შანსი აქვთ როგორც გამართლების, ასევე დამნაშავედ ცნობის (იხ. დანართი A, ცხრილი 1.41). ეს მაჩვენებელი შემცირებულია 2014 წლის მონაცემთან შედარებით, როცა მოსახლეობის უმრავლესობა (64%) მიიჩნევდა, რომ ასეთ შემთხვევაში ორივე სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელს თანაბარი შანსები ექნებოდათ (იხ. დანართი A, ცხრილი 3.12).


აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი (46%) ფიქრობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ერთნაირ დანაშაულში ბრალი ედებათ ქართველსა და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს, მოსალოდნელია, რომ ორივეს ერთნაირი შანსი აქვს როგორც გამართლების, ასევე დამნაშავედ ცნობის. მოსახლეობის თითქმის მესამედის (32%) წარმოდგენით, უფრო მოსალოდნელია, რომ დამნაშავედ ქართველი იქნება მიჩნეული, ხოლო 18% ფიქრობს, რომ უფრო მოსალოდნელი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლის დამნაშავედ ცნობა იქნება (იხ. დანართი A, ცხრილი 1.39). 2014 წლის გამოკითხვის მიხედვით, მოსახლეობის უმრავლესობა (65%) მიიჩნევდა, რომ ასეთ სიტუაციაში ორივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს გამართლებისა და დამნაშავედ ცნობის თანაბარი შანსები აქვთ (იხ. დანართი A, ცხრილი 3.13).

გამოკითხვის დროს, მოსახლეობას ასევე შესთავაზეს კითხვები ისეთი სასამართლო საქმეების შესახებ, სადაც მოქალაქე მოქალაქის წინააღმდეგ, მოქალაქე ბიზნესის წინააღმდეგ და მოქალაქე სახელმწიფოს წინააღმდეგაა წარმოდგენილი. მოსახლეობის 12%-ის აზრით, იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი მეზობელს მიწის ნაკვეთის გამო უჩივის, მოსამართლე გადაწყვეტილებას მომჩივანის სასარგებლოდ მიიღებს. 17% ამ მოსაზრებას არ ეთანხმება (იხ. დანართი A, ცხრილი 1.45_1).

საქართველოში მაცხოვრებელთა დაახლოებით მეოთხედი (26%) ეთანხმება აზრს, რომ როდესაც ადამიანი კერძო ბიზნესს უჩივის, მოსამართლე გადაწყვეტილებას კერძო ბიზნესის სასარგებლოდ მიიღებს, თუმცა, მოსახლეობის თითქმის იგივე წილი (24%) არ ეთანხმება ამ მოსაზრებას (იხ. დიაგრამა 14), ეს მონაცემები თითქმის არ განსხვავდება 2014 წლის მონაცემებისგან, თუმცა აღსანიშნავია, რომ მაშინ უფრო დიდი იყო იმ

ადამიანების წილი, ვინც ამ კითხვაზე უპასუხა „არ ვიცი“ (27%) (იხ. დანართი A, ცხრილი 3.14). რესპონდენტები შედარებით მკაფიოდ გამოხატავენ შეხედულებას სასამართლოზე მაშინ, როდესაც საქმე მოქალაქესა და სახელმწიფო დაწესებულებას შორის დავას ეხება. ამ შემთხვევაში მესამედზე მეტი (43%) მიიჩნევს, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებას სახელმწიფო დაწესებულების სასარგებლოდ მიიღებს, ამ მოსაზრებას მოსახლეობის მხოლოდ 14% არ ეთანხმება. 2014 წლის მონაცემებთან შედარებით, გაზრდილია მოსახლეობის ის წილი, რომელიც ფიქრობს, რომ მოსამართლე სახელმწიფო დაწესებულების სასარგებლოდ მიიღებს გადაწყვეტილებას (იხ. დანართი A, ცხრილი 3.15).

დიაგრამა 14



შენიშვნა: პასუხის ვარიანტები 10-ქულიანი სკალიდან დაჯგუფდა 5-ქულიან სკალაზე.

კიდევ ერთი ჰიპოთეტური საქმე, რაზეც რესპონდენტებმა უპასუხეს იყო ისეთი შემთხვევა, როცა მოქალაქე პოლიციას ნარკოტიკის უკანონო ჩადებაში ადანაშაულებს და თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. მოსახლეობის 23% ფიქრობს, რომ მოსამართლე ამ საქმის გადაწყვეტისას სამართლიანი იქნება, ხოლო შედარებით დიდი ნაწილი - 35% ფიქრობს,

რომ მოსამართლე უსამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს (იხ. დანართი A, ცხრილი 1.46_1).


სასამართლოს შესახებ არაჰიპოთეტური, არამედ რეალურ საქმეებზე დაფუძნებული მოსაზრებისა და წარმოდგენების გასაგებად მოსახლეობას სთხოვეს, დაესახელებინათ ისეთი გახმაურებული სასამართლო საქმეები, რომელზეც, მათი აზრით, სასამართლომ სამართლიანი და უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო. ეს ორი კითხვა ღია იყო, ყოველგვარი ბარათისა და წინასწარ შეთავაზებული პასუხების გარეშე. რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მაქსიმუმ სამი გახმაურებული საქმე, რაზეც, მათი აზრით, სასამართლომ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო და ასევე მაქსიმუმ სამი საქმე, რაზეც სასამართლომ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო. საინტერესოა, რომ საქმეების ჩამონათვალი ორივე შემთხვევაში საკმაოდ მსგავსია. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტს (57%) არ ახსენდება ისეთი გახმაურებული საქმე, რომელზეც სასამართლომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო (იხ. დიაგრამა 15), მსგავსი მონაცემი უსამართლო გადაწყვეტილების შემთხვევაში 22%-ია. უსამართლო გადაწყვეტილებათა ჩამონათვალში ყველაზე ხშირად, მოსახლეობის ნახევრის მიერ (50%) დავით სარალიძის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება დასახელდა.

აღსანიშნავია, რომ საქმეების დასახელებისას მოსახლეობის ნაწილმა დაასახელა ისეთი საქმეები, რომლებიც ან საქართველოს სასამართლოებს არ ეხება, მაგალითად, არჩილ ტატუნაშვილის საქმე ან კიდევ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ გამოტანილი არ არის, როგორც სმიტების მკვლელობის საქმეზე. ამავდროულად, მოსახლეობის ნახევარმა (50%) დავით სარალიძის საქმე უსამართლო გადაწყვეტილებად მიიჩნია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს სასამართლო მანდატზე სწორი წარმოდგენა არ აქვს. ამას ამყარებს ის არგუმენტიც, რომ 2018 წლის მაისში ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით, რომელიც ასევე საქართველოს სრულწლოვანი ქართულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენლობითია,⁹ მოსახლეობას ნაკლებად ჰქონდა ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და ამის მიუხედავად, მაინც უსამართლოდ მიიჩნევდა ამ გადაწყვეტილებას.

დიაგრამა 15

⁹ <http://crrc.ge/ka/blog/murder-on-khorava-street-the-publics-knowledge-and-attitudes-towards-the-court-decision/1078/>

ბოლო 5 წლის განმავლობაში სასამართლოს მიერ განხილული რომელი განმაურებული საქმე გახსენდებათ, რომელზეც თქვენი აზრით, სასამართლომ სამართლიანი/უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო?



შენიშვნა: რესპონდენტებს შეეძლოთ მაქსიმუმ სამი პასუხის დასახელება. შესაბამისად, პასუხების პროცენტული მაჩვენებლები 100%-ად არ ჯამდება. კითხვა რესპონდენტებისთვის იყო ღია, მათ არც უკითხავდნენ და არც აჩვენებდნენ პასუხის ვარიანტებს. პასუხის ვარიანტი, რომლის სიხშირე 5%-ზე ნაკლები იყო, დაჯგუფდა კატეგორიაში „სხვა“.

კვლევისთვის საინტერესო იყო მოსახლეობის იმ ნაწილის გამოვლენა, რომელსაც სასამართლოსთან რაიმე შეხება ჰქონია. ეს შეხება შეიძლებოდა, ჰქონოდა თავად რესპონდენტს, მისი ოჯახის წევრს, ახლო მეგობარს ან ახლო ნათესავს. გამოკითხვის შედეგების თანახმად, საქართველოს სრულწლოვანი ქართულენოვანი მოსახლეობის მხოლოდ 14% აცხადებს, რომ მას, მისი ოჯახის წევრს ან ახლო მეგობარს ჰქონია რაიმე შეხება სასამართლოსთან და ძირითადად ეს დავები უძრავ ქონებასთან იყო დაკავშირებული. ვისაც სასამართლოსთან შეხება ჰქონია, მათგან ყველაზე დიდი წილი (41%) ამბობს, რომ სასამართლო პროცესი იმდენ ხანს გაგრძელდა, რამდენსაც მოელოდნენ. მეოთხედი (25%) ფიქრობს, რომ მოსალოდნელზე მეტ ხანს გაგრძელდა, ხოლო თითქმის მეხუთედის (21%) აზრით, პროცესი მოსალოდნელზე ნაკლებ ხანს გაგრძელდა (იხ. დანართი A, ცხრილი 1.49, ცხრილი 1.50 და ცხრილი 1.51).

გარდა ამისა, მათგან, ვისაც სასამართლოსთან შეხება ჰქონია, დაახლოებით მესამედი (34%) აცხადებს, რომ გადაწყვეტილება მისი ან მისი მხარის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი და თითქმის იგივე წილი (35%) აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება მისი ან


მისი მხარის საწინააღმდეგოდ იქნა გამოტანილი (იხ. დანართი A, ცხრილი 1.52). რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების შეფასებას, მათგან, ვისაც შეეხება ჰქონია სასამართლოსთან, თითქმის ნახევარი (49%) თვლის, რომ გადაწყვეტილება სამართლიანი იყო, ხოლო 29% მას უსამართლოდ მიიჩნევს. 10%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს გადაწყვეტილების მიმართ და 11% აცხადებს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ გამოუტანია (იხ. დანართი A, ცხრილი 1.53). აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის იმ ნაწილიდან, ვისაც სასამართლოსთან შეეხება ჰქონია (14%), თითქმის ნახევარი არ ეთანხმება აზრს, რომ მოსამართლეები საქართველოში დამოუკიდებლები არიან (იხ. დანართი A, ცხრილი 2.13).

დამოკიდებულება იურისტის პროფესიისადმი

მოსახლეობის ზოგად დამოკიდებულებასა და ნდობასთან ერთად, გამოკითხვა მოსახლეობის დამოკიდებულებას კიდევ ერთი მხრიდან უდგება - როგორია მოსახლეობის დამოკიდებულება იურისტის პროფესიისადმი. რესპონდენტებს ჰკითხეს, მოუწონებდნენ თუ არა თავიანთ შვილს არჩევანს, მას რომ იურისტობა მოენდომებინა. მოსახლეობის უმრავლესობა (75%) შვილის მიერ იურისტის პროფესიის არჩევანს მოიწონებდა (იხ. დანართი A, ცხრილი 1.62). მოწონების ძირითად მიზეზად ასახელებენ იმას, რომ იურისტები საზოგადოებას ემსახურებიან და ასევე იმასაც, რომ ეს პროფესია პრესტიჟულია. მოსახლეობის მხოლოდ 18% აცხადებს, რომ იურისტობას შვილის პროფესიად არ მოიწონებდა და ამის ძირითად მიზეზად სახელდება ის, რომ იურისტები ხშირად განიცდიან ზეწოლას მთავრობისგან, იურისტებს რთულ ვითარებაში უწევთ მუშაობა და ასევე ისიც, რომ ეს საშიში პროფესიაა (იხ. დიაგრამა 16).

დიაგრამა 16

მთავარი მიზეზი, თუ რატომ მოიწონებდით/არ მოიწონებდით შვილის არჩევანს, გახდეს იურისტი? (%)




შენიშვნა: კითხვა რესპონდენტებისთვის ღია იყო. მათ არც უკითხავდნენ და არც აჩვენებდნენ პასუხის ვარიანტებს.

რესპონდენტთა ის ნაწილი, რომელიც ამბობს, რომ მოიწონებდა შვილის არჩევანს (75%), გახდეს იურისტი, ჩამოთვლილი სამი პროფესიიდან: ადვოკატი, პროკურორი და მოსამართლე, ყველაზე ხშირად (38%) შვილისთვის სასურველ პროფესიად ადვოკატობას ასახელებს (იხ. დიაგრამა 17).

დიაგრამა 17

გთხოვთ, დაფიქრდით: ადვოკატებზე, პროკურორებსა და მოსამართლეებზე. ამ სამი პროფესიიდან, რომელს ისურვებდით თქვენი შვილისთვის? (%)



შენიშვნა: პროცენტები დათვლილია მათგან, ვინც ამბობს, რომ მოიწონებდა შვილის არჩევანს, გახდეს იურისტი (75%).

აღნიშნული გამოკითხვის მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომია CRRC-ის მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე, სადაც შესაძლებელია მონაცემთა ონლაინ გაანალიზება.

დანართი A - ცხრილები (სიხშირები და კროსტაბულაციები)

ცხრილი 1.1

1. თქვენი აზრით, რა არის ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები საქართველოსთვის? გთხოვთ, დაასახელოთ არა უმეტეს სამი პრობლემისა.	(%)
გაწევრიანება ნატოში	1
კორუფცია	2
დაბალი პენსიები	17
რუსეთთან ურთიერთობა	3
საკუთრების უფლების დაცვა	1
არჩევნების სამართლიანობის უზრუნველყოფა	1
უმუშევრობა	75
სასამართლოს დამოუკიდებლობა	5
სიტყვის თავისუფლება	1
ადამიანის უფლებების დაცვა	6
სიღარიბე	45
ტერიტორიული მთლიანობა	21
ფასების ზრდა	30
ხელმისაწვდომი ჯანდაცვა	13
დაბალი ხელფასები	13
ჟურნალისტების დამოუკიდებლობა	0
განათლების ხარისხი	9
გაწევრიანება ევროკავშირში	0
პოლიტიკური სტაბილურობა საქართველოში	4
სხვა	14
(არ ვიცი)	0
(უარი პასუხზე)	

ცხრილი 1.2

2. ძირითადად რომელი წყაროდან იღებთ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ? გთხოვთ, დამისახელოთ მხოლოდ ინფორმაციის მთავარი წყარო.	(%)
თანამშრომლები	0
ოჯახის წევრები, ნათესავები	1
მეზობლები, მეგობრები	2
სასამართლოების / იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდები	
საინფორმაციო ვებგვერდები (საინფორმაციო სააგენტოები, ონლაინ გაზეთები/ჟურნალები)	7
სოციალური ქსელები (მაგ., Facebook, Twitter, etc.)	15
გაზეთები, ჟურნალები	1
რადიო	0
ტელევიზია	73
სხვა	0
(არ მიესადაგება/არ ვიღებ ინფორმაციას)	1
(არ ვიცი)	0

ცხრილი 1.3

3. და რომელია თქვენთვის ინფორმაციის მთავარი წყარო იმის შესახებ, რაც საქართველოს სასამართლოებში ხდება?	(%)
თანამშრომლები	1
ოჯახის წევრები, ნათესავები	4
მეზობლები, მეგობრები	4
სასამართლოების / იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდები	0
საინფორმაციო ვებგვერდები (საინფორმაციო სააგენტოები, ონლაინ გაზეთები/ჟურნალები)	5
სოციალური ქსელები (მაგ., Facebook, Twitter, etc.)	14
გაზეთები, ჟურნალები	1
რადიო	0
ტელევიზია	63
სხვა	0
(არ მიესადაგება/არ ვიღებ ინფორმაციას)	7
(არ ვიცი)	0
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი 1.4

4. რამდენად გაინტერესებთ ის, რაც საქართველოს სასამართლოებში ხდება? გთხოვთ, გამოიყენეთ ეს ბარათი, სადაც კოდი '1' შეესაბამება პასუხს „საერთოდ არ მაინტერესებს“, ხოლო კოდი '10' შეესაბამება პასუხს „ძალიან მაინტერესებს“.	(%)
1 საერთოდ არ მაინტერესებს	14
2	3
3	6
4	4
5	20
6	6
7	10
8	8
9	5
10 ძალიან მაინტერესებს	23
(არ ვიცი)	0
(უარი პასუხზე)	

ცხრილი 1.4_1

4. რამდენად გაინტერესებთ ის, რაც საქართველოს სასამართლოებში ხდება? გთხოვთ, გამოიყენეთ ეს ბარათი, სადაც კოდი '1' შეესაბამება პასუხს „საერთოდ არ მაინტერესებს“, ხოლო კოდი '10' შეესაბამება პასუხს „ძალიან მაინტერესებს“.	(%)
<i>(პასუხების ვარიანტი დაჯგუფებულია 10 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე. ვარიანტები: „1“, „2“, „3“ და „4“ დაჯგუფდა როგორც „არ მაინტერესებს“; „5“ და „6“ - როგორც „[ნეიტრალური]“; ხოლო პასუხის ვარიანტები: „7“, „8“, „9“ და „10“ დაჯგუფდა, როგორც „მაინტერესებს“)</i>	
1 არ მაინტერესებს	27
2 [ნეიტრალური]	27
3 მაინტერესებს	46
(არ ვიცი)	0
(უარი პასუხზე)	

ცხრილი 1.5

5. რა გახსენდებათ პირველ რიგში, როდესაც გესმით ფრაზა „მართლმსაჯულება საქართველოში“?	(%)
სასამართლო, მოსამართლეები	7
დანაშაული	10
სამართლიანობა, სიმართლე	17
პროკურატურა	1
უსამართლობა	38
ადამიანის უფლებების დაცვა	3
პოლიცია, ძალოვანი სტრუქტურები	1
დამნაშავეთა დასჯა	4
კანონის უზენაესობა, კანონიერება	6
ციხე	2
იუსტიციის სამინისტრო	0
იუსტიციის უმაღლესი საბჭო	
სხვა	3
(არ ვიცი)	8
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი 1.6

6. ახლა დაგისახელებთ რამდენიმე დაწესებულებას და პროფესიულ ჯგუფს. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ნდობა ყოველი მათგანის მიმართ ამ ბარათის მეშვეობით, სადაც კოდი '1' შეესაბამება პასუხს „საერთოდ არ ვენდობი“, ხოლო კოდი „10“ შეესაბამება პასუხს „სრულად ვენდობი“. თუ რომელიმე დაწესებულების ან პროფესიული ჯგუფის შესახებ არ გსმენიათ, გთხოვთ, მითხრათ, რომ არ გსმენიათ მის შესახებ. რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს / . . ./?	1 საერთოდ არ ვენდობი	2	3	4	5	6	7	8	9	10 სრულად ვენდობი	(არ ვიცი)	(უარი პასუხზე)	(არ მსმენია ამ დაწესებულებ ის / პროფესიული ჯგუფის შესახებ)
მოსამართლეებს?	22	5	8	6	27	9	6	6	2	5	4	0	
პროკურორებს?	22	5	9	7	25	1 0	6	5	2	4	6	0	0
ადვოკატებს?	11	4	5	6	25	1 0	12	10	4	10	4		
პარლამენტს?	33	6	1 1	6	20	7	5	4	1	5	2	0	
პრემიერ მინისტრს?	18	6	8	5	23	8	7	7	3	6	11	0	0

რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს / . . . / ?	1 საერთოდ არ ვენდობი	2	3	4	5	6	7	8	9	10 სრულად ვენდობი	(არ ვიცი)	(უარი პასუხზე)	(არ მსმენია ამ დაწესებულებ ის / პროფესიული ჯგუფის შესახებ)
პრეზიდენტს?	20	6	7	6	21	8	8	8	4	10	2		
პროკურატურას?	21	5	8	8	24	1 0	6	4	2	6	5	0	0
საქალაქო/რაიონულ სასამართლოებს?	19	5	7	7	25	9	7	5	3	4	9	0	0
სააპელაციო სასამართლოებს?	17	4	7	6	23	9	8	6	3	5	9	0	2
უზენაეს სასამართლოს?	17	5	8	7	24	8	8	6	3	8	6	0	1
იუსტიციის უმაღლეს საბჭოს?	17	4	7	7	23	8	7	7	2	7	9	0	4
პოლიციას?	13	3	6	5	22	8	10	13	6	13	1	0	0
სახალხო დამცველს?	14	3	5	7	23	8	9	9	4	11	6	0	1
